დანართი №1

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

ინფორმაცია იურიდიული პირის ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის შესახებ

სახელწოდება	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი	204 864 548
მისამართი	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #1
საკონტაქტო პირი	ქეთევან ცინცაძე –აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი
ელექტრონული ფოსტა	tsulll@tsu.ge, keti.tsintsadze@tsu.ge
საკონტაქტო ტელეფონი	(+995 32) 2 223 652

ზოგადი მონაცემები პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ისტორია (პროფესიული ცოდნა და ისტორიის სწავლების მეთოდიკა)
პროგრამის მიზანი	პედაგოგის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება; მსმენელების მომზადება მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდისათვის; მასწავლებლეთათვის დარგის სიახლეების, საგნის სწავლების ახალი მეთოდიკისა და სასწავლო პროცესისადმი ახალი მიდგომების გაცნობა.
პროგრამის შედეგი	პროგრამის მოსმენის შემდეგ მსმენელები დაეუფლებიან ისტორიის სწავლების ძირითადი მეთოდებისა და სტრატეგიების მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს; მსმენელები წარმატებით შეძლებენ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და მაღალი დონის გაკვეთილის ჩატარებას; მსმენელები შეძლებენ საგნის სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით მრავალმხრივი ხედვის განვითარებას; მსმენელები შეძლებენ სხვადასხვა მოსაზრების პოზიტიურად აღქმას და მასზე ადექვატურ რეაგირებას; მსმენელები შეძლებენ კონკრეტულ სიტუაციაში საგანმანათლებლო პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტას; მსმენელები შეძლებენ საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ და ეფექტურად აგებას. მსმენელები შეძლებენ მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდის წრმატებით ჩაბარებას.

პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები, რომლებსაც მოიცავს პროგრამა	ისტორიის მეთოდოლოგიის ადგილი ისტორიულ მეცნიერებაში; ისტორიის მეთოდოლოგიის საგანი: ა) მეცნიერებათა სისტემაში ისტორიის ადგილი; ბ) ისტორიული მეცნიერების ევოლუცია ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხების გაშუქება საქართველოში; გ) ისტორიკოსის ლაბორატორია-სახელოსნო; საქართველოში სასკოლო საისტორიო განათლების ძირითადი ეტაპები: ა) საქართველოს მთავრობის სასკოლო საისტორიო განათლების პოლიტიკა დღევანდელ ეტაპზე; ისტორიის გაკვეთილი: ა) ისტორიის სახელმძღვანელო (რთული სოციოკულტურული, სამეცნიერო-ისტორიული და პედაგოგიური); ბ) მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისთვის; გ) დამხმარე და დამატებითი საშუალებები ისტორიის სწავლებისას; მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა: ა) მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება; ემპირიული მასალის ფლობა, ფაქტობრივი ისტორიის ზედმიწევნით კარგად ცოდნა.
მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც შეესაბამება პროგრამა	**თავი მე-8, მუხლი 21**. - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში; **მუხლი 22**. - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებში; **თავი მე-16, მუხლი 39**. - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები; **მუხლი 40**. - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა. **თავი მე-16, მუხლი 41**. სწავლების მეთოდები.
პროგრამის ხელმძღვანელი	თსუ ასისტენტ–პროფესორი, ისტორიის დოქტორი გიორგი ჟუჟუნაშვილი
პროგრამის შემუშავების თარიღი	2011
პროგრამის მოცულობა ECTS-კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	ECTS–3 კრედიტი; 45 საკონტაქტო, 30 დამოუკიდებელი საათი.
პროგრამაში შემავალი მოდულების სახელწოდება კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	**ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის დიდაქტიკა -** 1 კრედიტი, 15 საკონტაქტო, 10 არასაკონტაქტო საათი; **საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ძირითადი საკითხები -** 2 კრედიტი, 30 საკონტაქტო, 20 არასაკონტაქტო საათი.
პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში	მასწავლებლებს ექნებათ საშუალება აირჩიონ მათთვის სასურველი ფორმა და დრო:

	ინტენსიური – 15 დღიანი პროგრამა (დღეში 3 საათი), რომელიც ჩატარდება არდადეგების პერიოდში; სტანდარტული – 5 კვირიანი პროგრამა, რომელიც ჩატარდება სამუშაო დღეებში, დღის მეორე ნახევარში (3 საათი დღეში, 3 დღე კვირაში) ან 7 კვირა + 1 დღე, რომელიც ჩატარდება შაბათ-კვირას (6 საათი დღეში)
პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი	ისტორიის მასწავლებლები, ისტორიის მასწავლებლობის მაძიებელი პირი.
პროგრამაში ჩართვის წინაპირობა	პროგრამაში ჩართვისათვის აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ისტორიის მასწავლებლის დიპლომი. ტრენინგის დაწყებამდე აპლიკანტები შეასრულებენ ტესტს, რომლის მეშვეობით დადგინდება მათი მომზადების დონე, რის შემდეგაც განისაზღვრება ჯგუფთან მუშაობის მეთოდები.
ტრენინგზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა	15 -24
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა	• თსუ ასისტენტ–პროფესორი გიორგი ჟუჟუნაშვილი, • თსუ ასოცირებული პროფესორი ანდრო კალანდაძე, • თსუ ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე.
წლიური რეგიონული დაფარვა და გამტარიანობა	12 -15 წელიწადში
პროგრამის გავლის საფასური	120 ლარი
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ	ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ III, V და ქალაქ ქუთაისში არსებულ კორპუსებში. ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ II კორპუსის კომპიუტერული რესურს–ცენტრით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ–რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით: ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი. ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკით.